

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

I ნაწილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი

II ნაწილი - კვლევის მაგისტრი საზოგადოებასთან ურთიერთობაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120

I ნაწილი - 60 კრედიტი

II ნაწილი - 60 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მომზადება, რომელიც შეძლებს ორგანიზაციის ეფექტური საზოგადოებრივი ურთიერთობების უზრუნველყოფას, შედეგზე ორიენტირებული მართვის, საკომუნიკაციო სტრატეგიის, ტაქტიკისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სიღრმისეული და სისტემური ცოდნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში და სისტემური ცოდნა მარკეტინგისა და მენეჯმენტის სფეროში;
- მართვის მოდელების ცოდნა, მათი კრიტიკული გააზრება და გაანალიზება, სხვადასხვა გარემოში შესაბამისი მართვის მოდელის გამოყენება, კრიზისულ სიტუაციაში დასაბუთებული, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში გამოყენებითი კვლევის მეთოდების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა და კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- ვიზუალური თხრობის ტექნიკების სიღრმისეული ცოდნა და კონცეფციის შექმნიდან, სამიზნე აუდიტორიასთან წვდომამდე, კონტენტის წარმოებისა და შესაბამისი საკომუნიკაციო არხებით გავრცელების უნარი;
- შედეგზე ორიენტირებული საკომუნიკაციო, სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- პროექტის, ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარების დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა.

#### სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში აკადემიური კვლევის მეთოდების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა და კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- მართვის მოდელების ანალიტიკური გაანალიზებისა და დასკვნებისა თუ გადაწყვეტილებების აკადემიური არგუმენტაციის უნარი.

#### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის I ნაწილზე სწავლის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართულებით.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის I ნაწილზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

- 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში;
- 2) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;

- გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), ინგლისური ენის გამოცდიდან განთავისუფლებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;
- გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი ფორმით), რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია - „უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესისდამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო **პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა** საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **I ნაწილის** დასრულება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-4მუხლის, 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

## პროგრამის I ნაწილის სწავლის შედეგები:

**სწავლის შედეგი 1** - სიღრმისეულად აღწერს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სფეროს არსს, მიზნებს, პრინციპებს ძირითად თეორიებს და სისტემურად განიხილავს სფეროს თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს;

**სწავლის შედეგი 2** - გამოკვეთს კორპორაციული კომუნიკაციის, მედიასთან ურთიერთობის, კონტენტ მარკეტინგის და ციფრული კომუნიკაციების ძირითად მახასიათებლებს და სიღრმისეულად განიხილავს ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობას;

**სწავლის შედეგი 3** - განიხილავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის ძირითად მიდგომებისა და მოდელებს, სიღრმისეულად აღწერს მათი განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე ტენდენციებს;

**სწავლის შედეგი 4** - კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სხვადასხვა გარემოში საზოგადოებასთან ურთიერთობის შესაბამის მართვის მოდელს და დამოუკიდებლად აყალიბებს ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრუქტურას;

**სწავლის შედეგი 5** - სოციალურ მეცნიერებათა კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის პროფესიულ ნაშრომს - საკომუნიკაციო სტრატეგიის სახით.

**სწავლის შედეგი 6** - დამოუკიდებლად ავითარებს იდეას, ქმნის და აწყობს საკომუნიკაციო პროდუქტის ლოგიკურ სტრუქტურას და ვიზუალური თხრობის ტექნიკების გამოყენებით წარმოადგენს სხვადასხვა ფორმატის კონტენტს, რომლის შესაბამისადაც არჩევს ამბის თხრობის ტექნიკებს;

**სწავლის შედეგი 7** - ორგანიზაციის მისიის, ხედვის, ამოცანების გათვალისწინებით შეიმუშავებს საკომუნიკაციო სტრატეგიას, (მათ შორის: კრიზისული კომუნიკაციის გეგმას, სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამას და ა.შ.) და შესაბამის სამოქმედო გეგმას. თანამედროვე ტექნოლოგიებსა და საკომუნიკაციო ტენდენციებზე დაყრდნობით, მაღალი პროფესიული სტანდარტით ახორციელებს შესაბამის აქტივობებს.

**სწავლის შედეგი 8** - პროექტის მართვის ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით აყალიბებს პროექტის მიზნებს და გეგმავს განსახორციელებელი ღონისძიებების თანმიმდევრობას, ითვალისწინებს დროით, ადამიანურ, მატერიალურ, ფინანსურ და საჭიროებისამებრ სხვა რესურსებს;

**სწავლის შედეგი 9** - როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდთან მუშაობის პროცესში პროფესიული, ეთიკური ნორმების დაცვით გეგმავს და წარმართავს პროექტს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში და იღებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებებზე;

## პროგრამის II ნაწილის სწავლის შედეგები:

**სწავლის შედეგი 10** - სიღრმისეულად აღწერს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სფეროს ძირითად თეორიებს.

**სწავლის შედეგი 11** - სოციალურ მეცნიერებათა კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის კვლევით ნაშრომს - სამაგისტრო ნაშრომის სახით.

**სწავლის შედეგი 12** - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას, წერილობითი და ზეპირი ფორმით წარუდგენს კვლევის შედეგებს. პროფესიული ეთიკური ნორმების გათვალისწინებით შეაქვს წვლილი საზოგადოებასთან ურთიერთობების დარგის განვითარებაში და განსაზღვრავს შემდგომში ცოდნის გაღრმავების მნიშვნელობას;

**ცხრილი # 1: საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N1**

| შედეგი   | მიზანი   |          |          |          |          |          |          |
|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|
|          | მიზანი 1 | მიზანი 2 | მიზანი 3 | მიზანი 4 | მიზანი 5 | მიზანი 6 | მიზანი 7 |
| შედეგი 1 | X        |          |          |          |          |          |          |
| შედეგი 2 | X        |          |          |          | X        | X        |          |
| შედეგი 3 |          | X        |          |          |          |          |          |
| შედეგი 4 |          | X        |          |          | X        |          |          |
| შედეგი 5 |          |          | X        |          | X        |          |          |
| შედეგი 6 | X        |          |          | X        | X        |          |          |
| შედეგი 7 |          |          | X        |          | X        | X        |          |
| შედეგი 8 |          |          | X        |          |          | X        | X        |
| შედეგი 9 |          |          |          |          |          |          | X        |

**ცხრილი # 2: საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N2**

| შედეგი    | მიზანი   |          |
|-----------|----------|----------|
|           | მიზანი 8 | მიზანი 9 |
| შედეგი 10 | X        | X        |
| შედეგი 11 | X        | X        |
| შედეგი 12 | X        | X        |

### სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ☒ ლექცია
- ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- ☒ პრაქტიკული მუშაობა
- ☒ სემინარი
- ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება
- ☐ ელექტრონული სწავლება
- ☒ სხვა

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ, ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საზოგადოებრივი ურთიერთობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.



საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

### დასაქმების სფერო:

საზოგადოებრივ ურთიერთობებში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების, კომუნიკაციებისა და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების დეპარტამენტებსა და სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედია სექტორში.

კურსდამთავრებულებს, ასევე შეეძლება განახორციელონ დამოუკიდებელი პროექტები, ინდივიდუალური შეკვეთების სახით შექმნან სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიები და კონსულტაცია გაუწიონ დაინტერესებულ პირებს.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს ამავე კვალიფიკაციის სამაგისტრო პროგრამის მე-2 ნაწილზე, ხოლო მე-2 ნაწილის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევრის მომზადებაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავენ უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვა) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, ასლგადამღები აპარატი) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საზოგადოებრივი ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასლგადამღები აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს

თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - portal.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

### **პროგრამის ხელმძღვანელი:**

მარიამ სეხნიაშვილი  
ასისტენტ-პროფესორი  
ქ.თბილისი, რუსთავის  
გზატკეცილი N22ა  
თბილისი, 0114, საქართველო  
მობ: (995 599) 200 280  
მეილი: [m.sekhniashvili@gipa.ge](mailto:m.sekhniashvili@gipa.ge)

### **პროგრამის ხელმძღვანელი:**

ნიკოლოზ აბუაშვილი  
პროფესორი  
ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა  
თბილისი, 0114, საქართველო  
მობ: +995 577 728 228  
მეილი: [n.abuashvili@gipa.ge](mailto:n.abuashvili@gipa.ge)

## საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

| №                                                                  | საგნის კოდი | დაშვების წინაპირობა | მოდული/საგანი                                                               | ECTS კრედიტი  |    |                |    | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>1</sup> |                                    |
|--------------------------------------------------------------------|-------------|---------------------|-----------------------------------------------------------------------------|---------------|----|----------------|----|-------------------------------------------|------------------------------------|
|                                                                    |             |                     |                                                                             | I წელი/ნაწილი |    | II წელი/ნაწილი |    | საკონტაქტო საათები <sup>2</sup>           | დამოუკიდებელი საათები <sup>3</sup> |
|                                                                    |             |                     |                                                                             | სემესტრი      |    |                |    |                                           |                                    |
|                                                                    |             |                     |                                                                             | I             | II | III            | IV |                                           |                                    |
| I მოდული: ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის ანალიზი |             |                     |                                                                             |               |    |                |    |                                           |                                    |
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები               |             |                     |                                                                             |               |    |                |    |                                           |                                    |
| 1.                                                                 | MGT001      | არ გააჩნია          | მარკეტინგი                                                                  | 4/100         |    |                |    | 30                                        | 70                                 |
| 2.                                                                 | PR001       | არ გააჩნია          | საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა                                          | 4/100         |    |                |    | 30                                        | 70                                 |
| 3.                                                                 | MGT002      | არ გააჩნია          | ორგანიზაციული მენეჯმენტი                                                    | 4/100         |    |                |    | 30                                        | 70                                 |
| 4.                                                                 | MGT011      | არ გააჩნია          | პროექტების მართვა                                                           | 3/75          |    |                |    | 24                                        | 51                                 |
| 5.                                                                 | RES001      | არ გააჩნია          | მომხმარებლის ქცევის ტენდენციები და ბაზრის კვლევა                            | 4/100         |    |                |    | 30                                        | 70                                 |
| 6.                                                                 | PR010       | არ გააჩნია          | I მოდულის პროექტი: ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის ანალიზი | 3/75          |    |                |    | 17                                        | 58                                 |

<sup>1</sup> დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

<sup>2</sup> საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

<sup>3</sup> საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

<sup>4</sup> საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის ან სხვა კომპონენტის სახით.

## II მოდული: ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფცია

### ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები

|    |         |        |                                                                        |  |       |  |  |    |    |
|----|---------|--------|------------------------------------------------------------------------|--|-------|--|--|----|----|
| 7  | RES002  | RES001 | კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი                                  |  | 4/100 |  |  | 33 | 67 |
| 8  | PR003   | PR001  | სტრატეგიული კომუნიკაცია                                                |  | 4/100 |  |  | 36 | 64 |
| 9  | MGT003  | PR001  | სტრატეგიული ბრენდინგი                                                  |  | 4/100 |  |  | 36 | 64 |
| 10 | MCOM001 | PR001  | მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში       |  | 3/75  |  |  | 30 | 70 |
| 11 | PR011   | PR010  | II მოდულის პროექტი: ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფცია |  | 4/100 |  |  | 15 | 85 |

### III მოდული: ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის შემაჯამებელი კამპანიის განხორციელება

|    |       |               |                                                                                                    |  |       |  |  |    |    |
|----|-------|---------------|----------------------------------------------------------------------------------------------------|--|-------|--|--|----|----|
| 12 | PR004 | არ გააჩნია    | ვიზუალური თხრობა                                                                                   |  | 3/75  |  |  | 30 | 45 |
| 13 | PR005 | PR001, MGT002 | კრიზისული კომუნიკაცია                                                                              |  | 4/100 |  |  | 30 | 70 |
| 14 | PR006 | PR001, PR003  | კორპორაციული კომუნიკაციები და სოციალური პასუხისმგებლობა                                            |  | 3/75  |  |  | 30 | 45 |
| 15 | PR012 | PR010, PR011  | III მოდულის პროექტი: ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის შემაჯამებელი კამპანიის განხორციელება |  | 4/100 |  |  | 15 | 85 |

### ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები

|    |        |                               |                                                         |  |  |       |  |    |    |
|----|--------|-------------------------------|---------------------------------------------------------|--|--|-------|--|----|----|
| 16 | RES003 | პროგრამის I ნაწილის დასრულება | დიდი მონაცემები პრაქტიკაში: თეორიიდან რეალურ გავლენამდე |  |  | 5/125 |  | 30 | 95 |
| 17 | MGT004 | პროგრამის I ნაწილის დასრულება | მართვა შედეგებისთვის                                    |  |  | 5/125 |  | 30 | 95 |
| 18 | PR007  | პროგრამის I ნაწილის დასრულება | საზოგადოებასთან ურთიერთობა მოქმედებაში - ლაბორატორია    |  |  | 5/125 |  | 30 | 95 |
| 19 | PR008  | პროგრამის I ნაწილის დასრულება | ქცევითი მეცნიერება და კომუნიკაცია                       |  |  | 5/125 |  | 30 | 95 |



|                                                   |         |                                                                        |                                                             |       |  |       |        |    |    |
|---------------------------------------------------|---------|------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|-------|--|-------|--------|----|----|
| 20                                                | MCOM002 | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | მასკომუნიკაციის თეორიები საზოგადოებასთან ურთიერთობაში       |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| 21                                                | MGT007  | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | სტრატეგიული ლიდერობა                                        |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები |         |                                                                        |                                                             | 5     |  | 5     |        |    |    |
| 22                                                | PR009   | არ გააჩნია                                                             | საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში | 5/125 |  |       |        | 30 | 95 |
| 23                                                | PR014   | არ გააჩნია                                                             | კომუნიკაციის უნარები, პრეზენტაცია და პერფორმანსი            | 5/125 |  |       |        | 30 | 95 |
| 24                                                | PR016   | არ გააჩნია                                                             | კომუნიკაციის ფსიქოლოგია                                     | 5/125 |  |       |        | 30 | 95 |
| 25                                                | PR017   | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | კონტენტ მარკეტინგი და ციფრული კომუნიკაცია                   |       |  | 5/125 |        | 33 | 92 |
| 26                                                | PR018   | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | საზოგადოებასთან ურთიერთობა და კრეატიულობა                   |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| 27                                                | MGT008  | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | ფონდების მოძიება                                            |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| 28                                                | PR018   | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | სამთავრობო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობა             |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| 29                                                | MGT009  | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | გაყიდვების მენეჯმენტი                                       |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| 30                                                | MGT005  | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | მედია დაგეგმარება                                           |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| 31                                                | MGT006  | პროგრამის I<br>ნაწილის<br>დასრულება                                    | ლონისძიების მართვა                                          |       |  | 5/125 |        | 30 | 95 |
| კვლევითი კომპონენტი                               |         |                                                                        |                                                             |       |  |       |        |    |    |
| 32                                                | PR015   | III სემესტრით<br>გათვალისწინებულ<br>ი საკალდებულო<br>სასწავლო კურსების | სამაგისტრო ნაშრომი                                          |       |  |       | 25/625 |    |    |

|           |  |       |  |     |    |    |    |  |  |
|-----------|--|-------|--|-----|----|----|----|--|--|
|           |  | გავლა |  |     |    |    |    |  |  |
| სემესტრში |  |       |  | 27  | 33 | 35 | 25 |  |  |
| წელიწადში |  |       |  | 60  |    | 60 |    |  |  |
| სულ       |  |       |  | 120 |    |    |    |  |  |

### ცხრილი N3: საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული სავალდებულო საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. თუ რომელი საგნის შესწავლა იწვევს რომელ შედეგზე გასვლას, შესაბამისი დონის აღნიშვნით. საგნები ჩაშლილია სამ დონედ - ა) გაცნობაზე ორიენტირებული კურსები (I-Introduction); ბ) გაღრმავებაზე ორიენტირებული კურსები (D - Development) გ) განმტკიცებაზე ორიენტირებული კურსები (M - Mastering). საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი დონის აღმნიშვნელი ინდიკატორი - I, D, M. ყველა საგანი შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს.

